წარმოგიდგენთ ჩვენს საჩივარს, ტ/კ "მთავარის" ჟურნალისტის ნანი სისვაძის სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც ეთერში გავიდა 22.03.22-ში: https://mtavari.tv/news/77732-400-atasi-lari-tambakos-kontrolistvis-rashi?fbclid=IwAR0zy9mMHXVjswowAdTnA9hlQ8-3vcG3ZK--hR6J-dDT60IbbJX2X5NHGTM

დაწყებული სათაურიდან "საეჭვოდ მოგებული ტენდერი", ჟურნალისტი აშკარად მიკერძოებულია და თავის მიერ გამოყენებულ ფრაზებში აშკარად აფიქსირებს თამბაქოს ბიზნეს ინტერესების შელახვას, რომელიც თითქოსდა გამოწვეულია ამ ე.წ. საეჭვო ტენდერების შედეგად ჩატარებული ჩვენი საქმიანობით.

მთავარი ფრაზა, რომელიც როგორც სიუჟეტში ასევე სიუჟეტის ანოტაციაშია, გახლავთ ის, რომ ჩვენი ორგანიზაცია "თამბაქოს კონტროლის იმპლემენტაციისა და მონიტროინგის ცენტრი ახორციელებს ისეთ საქმიანობას და ბიუჯეტიდან იღებს თანხებს იმისათვის, რაც სახელმწიფო დაწესებულებების მოვალეობაა. ასევე სიუჟეტში არსებობდ მთელი რიგი ფაქტობრივი უზუსტობები, რაც ჩვენი ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას ლახავს. მივყვეთ თანმიმდევრობით:

1. **სიცრუე 1.** *„საქმიანობას, რომელშიც ბიუჯეტის ფული იხარჯება ისედაც ახორციელებენ კონკრეტული სახელმწიფო სამსახურები." სიტუაციაში გაურკვეველი მაყურებელი ფიქრობს, რატომ უნდა იხარჯებოდეს ჩემი გადასახადი იმაში რაც ისედაც სახელმწიფო სტრუქტურების საქმეაო".* სიცრუე იმაშია, რომ აღმასრულებელ სტრუქტურებს არ აქვთ მონიტორინგის და პროაქტიულად ობიექტების შემოწმების უფლება, რაც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ჩვენი პასუხის ეს ნაწილი სიუჟეტში არ გამოიყენა ჟურნალისტმა. კერძოდ, ჩვენ განვმარტეთ, რომ საპატრულო სამსახურს არ აქვს უფლება იაროს ობიექტებში და ამოწმოს ეწევა თ უარა ვინმე. ასევე, შემოსავლების სამსახურს სპეციალური ნებართვა სჭირდება რომელიმე სავაჭრო ობიექტზე შემოწმების ჩასატარებლად და ა.შ. კანონის აღსრულებაზე სამოქალაქო ზედამხედველობას ევროპულ და დემოკრატიულ ქვეყნებში თავად მოქალაქეები ახდენენ ძირითადად და არ ხუჭავენ თვალს იმაზე, რაზეც ჩვენი მოქალაქეები. სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან დაბალია სამოქალაქო თვითშეგნების დონე, რაზეც მედია საშუალებებიც ნაკლებ ირჯებიან. ჩვენნაირ ქვეყნებში კი, სამოქალაქო ზედამხედველობას მრავალი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია აწარმოებს, მათ შორის სიუჟეტში მოყვანილი ანტიკორუფციული მოძრაობა. თუმცა, მათგან განსხვავებით, დაფინანსების წყაროები საჯარო გვაქვს და ისინი თავად უკანონოდ იღებენ დაფინანსებას თამბაქოს ზემოაღნიშნული კომპანიებისაგან და ლობირებენ მათ ინტერესებს, რომელთა ინტერესშია ამ კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმის მოსპობა შესაბამისი დაფინანსების წყაროების გაუქმების მოთხოვნით.

2. **სიცრუე 2.** „თამბაქოს კონტროლის ცენტრი საქართველოში 2015 წელს დაარსდა." საჯარო რეესტრის ამონაწერის გაშიფვრა ვერ ან არ შეძლო ჟურნალისტმა და ვერ გაარკვია, რომ ჩვენი ცენტრი დაარსდა 2003 წელს და მას მერე აქტიურად მონაწილეობს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის შექმნაში და დახვეწაში ქვეყანაში, ასევე როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია, ახდენს შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგს ჯერ კიდევ 2005 წლიდან, ძირითადად მოხალისეობრივად. ჩვენი ავტორობით მომზადდა პირველი კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ, რომელიც 2003 წელს იქნა მიღებული. მერე გიგი წერეთელთან და საქართველოს იმჟამინდელ პირველ ლედისთან თანამშრომლობით გაუმჯობესდა კანონი 2008-2010 წლებში. ბოლოს კი მრავალწლიანი ბრძოლების შედეგად, როგორც იქნა პარლამენტმა გამოიჩინა მტკიცე ნება და მიიღო ახალი ეფექტური ცვლილებების 2017 წლის მაისში. 2018 წლიდან, სწორედ იმ მიზნით, რომ კანონის აღსრულებას საფრთხე არ შექმნოდა გამოიყო შესაბამისი

რესურსები საინფორმაციო-საკომუნიკაციო, საგანმანათლებლო და მონიტორინგის აქტივობებისათვის.

3. **სიცრუე 3.** „არამიზნობრივი ხარჯვა“. ეს ტერმინი მათთვის ძალიან მახლობელია იცის საზოგადოებამ. რაც შეეხება სახელმწიფო ტენდერებით მიღებულ პროექტებს, ყველა ზედმიწევნით შესრულდა და ამიტომაც მიმდინარეობს თამბაქოს კონტროლის კანომდებლობის აღსრულება მაღალ დონეზე. ერთ-ერთი რესპოდენტი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს დაინტერესდნენ ამ საკითხით, რაც პირდაპირ მუქარას შეიცავს და ემსახურება ჩვენი საქმიანობის დისკრედიტაციას. ჩვენს მიერ გაწეულ კოლოსალურ საქმიანობაზე არსებობს დოკუმენტური მტკიცებულებები და სამწუხაროდ არ მოგვეცა მათი წარდგენის საშუალება. ცილისწამებაა ჩვენი გარიგებაში ყოფნა სახელისუფლებო წრეებთან, რომლის დამადასტურებელი ფაქტი ან დოკუმენტი არც ჟურნალისტსა და არც რესპოდენტებს არ წარმოუდგენიათ. უფრო მეტიც, იყო რამოდენიმე შემთხვევა, როცა მოგვიწია დაავადებათა კონტროლის ცენტრის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესყიდვების სააგენტოში და ყოველ ჯერზე გავიმარჯვეთ.

4. **სიცრუე 4:** ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და კლასიკური ცილისწამების მაგალითია „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისათვის“ პოლიტსაბჭოს წევრი ბესიკ დონაძის განცხადება: „ჩნდება ეჭვი, რომ ის სამუშაო რომელიც შეიძლება შეასრულოს დაავადებსათა კონტროლის ცენტრმა 3 გაგზავნილ წერილში, რატომ ვიხდით ბიუჯეტიდან 400 000 ლარს? ჩნდება ეჭვი, რომ ეს კომპანია დაკავშირებულია ამ ოდიოზურ ფიგურებთან“. რა 3 წერილზე საუბრობს ბატონი პოლიტიკოსი დონაძე არ ვიცით, მაგრამ მათი პოლიტიკური გუნდი პირდაპირ რომ ფინანსდება თამბაქოს ინდუსტრიისაგან ამის მტკიცებულებები ნამდვილად მოგვეპოვება და არ მოგვეცა ამ ინფორმაციის იმავე საშუალებით გამოქვეყნების საშუალება. სიუჟეტში ჩემი კომემნტარიდან ჩანს თუ რა მოცულობის სამუშაოს წევს ჩვენი ორგანზიაცია, მაგრამ იქ აქცენტი მხოლოდ ჩემზე და გიორგი მაღრაძეზე კეთდება, მაშინ, როცა ჩემი ინფორმაცია იმის შესახებ რომ ამ სამუშაოებში ჩართულია 40 მონიტორი არ იქნა სიუჟეტში გამოყენებული და მოსახლეობას დარჩა შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ამ თანხებს ვითვისებთ.

5. **სიცრუე 5:** ჟურნალისტი ამბობს: „ოფისში არავინ დაგხვდა“. ამ პანდემიის პირობებში რატომ გადაწყვიტეს რომ ჩვენთან შეუთანხმებლად კორპუსთან მოსულიყვნენ? დიდი სიამოვნებით დავხვდებოდით და მივიღებდით ოფისში და ვაჩვენებდით ყველა მტკიცებულებას და დოკუმენტს რაც ჩვენს კოლოსალურ სამუშაოს აღწერს, ასევე ბეჭდვით მასალებს და გამოცემებს, მათ შორის სამეცნიეროს რომელიც მიუკერძოებლად ადასტურებს ჩვენი საქმიანობის ეფექტურობას და რაც აღინიშნა კიდეც არაერთი ჯილდოთი საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე. ფაქტია, სიუჟეტის დამკვეთებს არ აწყობდათ რეალობის აღწერა და ფარულად მივიდნენ და გადაიღეს მხოლოდ კორპუსი. ჩემთან კი აუდიო ჩანაწერი გააკეთეს მხოლოდ, სადაც ყველა საკითხზე პასუხი გავეცით, მაგრამ მათ რაც აწყობდათ მხოლოდ ის მცირე ნაწილი გაუშვეს, ისიც მცირე ქრონომეტრაჟით და სხვა 4 რესპოდენტები კი პირადად ჩაწერეს, რომლებიც საკითხის გაგებაში არ არიან და ზოგჯერ ურთეირთგამომრიცხავი ბრალდებებით გამოდიან.

6. **სიცრუე 6.** ჟურნალისტი უკვე ამჟღავნებს სიუჟეტის დამკვეთის მიზანს და ამბობს „კორუფციის მკვლევარებს კი საფუძვლიანი ეჭვი აქვთ, რომ კიდევ ერთი მაკონტროლებელი რგოლი თამბაქოს ბიზნესზე დამატებითი წნეხისთვის, სწორედ სახელისუფლებო წრეების მფარველობით შეიქმნა“. ანუ, ის რომ მოწევის წესების დარღვევის სამოქალაქო მონიტორინგს ვახორციელებთ რა კავშირი აქვს თამბაქოს ინდუსტრიის კონტროლთან, რათქმაუნდა არაფერი. უბრალოდ, მათ ნამდვილად ადარდებთ ის რომ, ამ კანონის კარგად აღსრულებით მწეველების ნაწილმა შეამცირა

მოწევა, მეორე ნაწილმა კი საერთოდ უარი თქვა ამ ნარკოდამოკიდებულებაზე. ასევე, ამ სიუჟეტით ჟურნალისტს „დაჩაგრულის“ როლში გამოჰყავს სწორედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შემაფარეხებელი ეს დარგი, როგორც ეს გაერომ მდგრადი განვითარების მიზნებში 2015 წელს ასახა და მოუწოდა ქვეყნებს მაქსიმალურად შეეზღუდათ ეს ბიზნესები თავიანთ ქვეყნებში.

7. **სიცრუე 7:** ანტიკორუფციული მოძრაობის წევრი ლაშა ფარულავა აცხადებს: „ამ მეაქნიზმის არსებობა ნიშნავს სადამსჯელო მექანიზმის შექმნას, რაც მძიმედ დააწვება ქართულ ბიზნესს“. ანტიკორუფციული მოძაობის ფონზე ჩვენ აკვნის უწყინარი ჩვილები ვართ, ისინი რომ ატერორებენ ხალხს და ორგანიზაციებს, ფაქტი სახეზეა. რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ჩვენ მონიტორინგის შედეგებს თავად ორგანიზაციებს ვაწვდით, ვუწევთ მათ უფასო კონსულტაციას, უფასოდ ვაწვდით მოწევის ამკრძალავ ნიშნებს და სხვა მასალებს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა რამოდენიმეჯერ ფიქსირდება მათი მხრიდან კანონის მოთხოვნები იგნორირება ვახდენთ რეაგირებას. თამბაქოს ინდუსტრია ამ პროცესში საერთოდ არსად ფიგურირებს. საუბარია სკოლებში, საავადმყოფოებში, კაფე-ბარებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, საზოდადოებრივ ტრასპორტში და ა.შ. მოწევის შეზღუდვის მონიტორინგზე და თამბაქოს ინდუსტრიას რა დამატებითი კონტროლი ექმნება აბსურდულია. სამწუხაროდ, არ მოგვეცა ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის იმავე არხით მიწოდების საშუალება, რასაც ვითხოვთ.

8. **სიცრუე 8.** ფანტაზიებში უფრო შორს მიდის ანტიკორუფციული მოძრაობის მეორე წარმომადგენელი ვასო ურუშაძე: „ფორმალურ მმართველებს აქვთ შექმნილი სადამსჯელო რაზმები და როგორც ჩანს ვანო ჩხარტიშვილმა თავად მოინდომა შექმნას ეპიდპოლიცია, რომლითაც ის მოახდენს სხვადასხვა კერძო სექტორის შევიწროებას, ბაზრიდან ჩამოშორებას რათა მიიღოს პირადი სარგებელი“. თავად ორაგნიზაციის შიგნით ვერ ჩამოყალიბებულან ვინ რა თქვას, ფარულავა ამბობს ადგილობრივი ბიზნესი დაიჩაგრებაო, ურუშაძე ამბობს ადგილობრივი თამბაქოს მაგნატ ჩახრტიშვილს აწყოს ასეთი სადამსჯელო რაზმიო. ცნობისათვის, ეს ის ჩხარტიშვილია, რომელსაც თუთუნის 15 გრამიანი შეფუთვის კანონპროექტი დავუბლოკეთ. აქაც მორიგი ცილისწამება გაჟღერდა ჩვენს წინააღმდეგ და მოვითხოვთ ჩვენი არგუმენტების იმავე საშუალებაში გამოქვეყნებას.

9. **სიცრუე 9:** სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტმა გაჟღერა, რომ ორგანიზაციამ მილიონ ნახევარი ლარი მიიღო ტენდერებით. მაგრამ, არ იქნა არც მისი მხრიდან და არც ჩვენ მოგვეცა საშუალება, რომ საუბარია 8 წლის პერიოდზე, რომელიც ინფორმაციის გარეშე მოსახლეობას შეექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს თანხები მიმდინარე პერიოდში ავითვისეთ და თან ორმა პირმა, რაც ჩვენი ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის შელახვასა და დისკრედიტაციას ემსახურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამ სიუჟეტით დარღვეულ იქნა ქარტიის 1,3,4,5,9, და მე-11 პრინციპები.

პატივისცემით,

გიორგი ბახტურიძე